პროექტი კიბერბულინგი

(კლასგარეშე აქტივობა - CT კლუბი)

სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალა ქ გორის N7 საჯარო სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი: ნონა ხეჩიკაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: nonaxechikashvili5@gmail.com

პროექტის დასახელება: გავიგოთ უფრო მეტი კიბერბულინგის შესახებ
პროექტის მიზანი: მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება კიბერბულინგთან დაკავშირებით
სამიზნე აუდიტორია: V-VI კლასი

აქტივობა N1 კიბერბულინგის შესახებ სლაიდშოუ პრეზენტაციის მომზადება

რა არის კიბერბულინგი?

ვინ არიან კიბერბულინგში ჩართული მხარეები?
კიბერბულინგის ძირითადი არხები
კიბერბულინგის ფორმები
კიბერბულინგის მოსალოდნელი შედეგი
როგორ ამოვიცნოთ კიბერბულინგი?
როგორ დავიცვათ თავი კიბერბულინგისგან? (პრევენცია)
როგორ დავიცვათ თავი კიბერბულინგისგან? (რეაგირება)
შანტაჟთან, მუქარასთან, იძულებასთან გამკლავება

მოსწავლეები სიღრმისეულად გაეცნობიან კიბერბულინგის საფრთხეებს და მნიშვნელობას; გაიაზრებენ, რატომ არის მნიშვნელოვანი კიბერბულინგისგან თავდაცვა.

აქტივობა N2 ვიდეოს ჩვენება

https://www.youtube.com/watch?v=gJVHngzKMIs

მოსწავლეები და შექმნან დამუშავებული ინფორმაციის შესაბამისი ვიზუალურ მასალას და წარმოადგენენ პოსტერის სახით. პოსტერების მომზადებისას, შეიძლება, გამოიყენონ როგორც პროექტის ნიმუშით შეთავაზებული რესურსები ასევე, დამოუკიდებლადაც მოიძიონ ინფორმაცია;

აქტივობა N3 სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა Forms-ის კითხვარის საშუალებით რა ინფორმაციას ფლობენ კიბერბულინგის შესახებ და თუ აანალიზებენ მის საფრთხეებს.

აქტივობა N4 სავარჯიშოების შესრულება - **თამაში შ**ეხვედრის მონაწილეები ეცდებიან, გამოიყენონ საინფორმაციო შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია და თავი გაართვან დავალებას

http://millab.ge/ka/game/kiberbulingi/9

https://visitors-centre.jrc.ec.europa.eu/tools/HappyOnLife/

აქტივობა N5 თანატოლებისათვის სამაგიდო თამაშის შექმნა კიბერბულინგის შესახებ და სასკოლო სივრცეში გაზიარება. რესურსის მომზადებით, მოსწავლეები ხელს შეუწყობენ თანატოლებში კიბერბულინგის პრევენციის თემის პოპულარიზებას

აქტივობა N6 ელექტრონული პლათფორმის Canva - ს საშუალებით მოსწავლეები დაამუშავებენ მიღებულ ინფორმაციებს და შექმნიან საინფორმაციო ბროშურებს და გაავრცელებენ მოსწავლეებში. შემოქმედებითი უნარების გამოყენებით, ხელს შეუწყობენ საზოგადოების ინფორმირებას როგორ გაუმკლავდნენ შანტაჟს, მუქარას და იძულებას.

აქტივობა N6 შემაჯამებელი ღონისძიება – თავი მოუყრება პროექტის შედეგად შექმნილ პროდუქტებს და შეჯამდება პროექტის შედეგები. დასკვნით შეხვედრაზე მოსწავლეებს გადაეცემათ სერტიფიკატები, ხოლო საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს გადაეცემათ სიმბოლური პრიზი.

პროექტის განხორციელებისას აქტიურად ვითანამშრომლებთ სკოლის ადმინისტრაციასთან, დამრიგებლებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობასთან;